



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 34

„25“ სექტემბერი 2014 წ.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის
სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის
დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა - ანგარიშების წესი დანართი №1-ის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა დანართი №2-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალის ფორმა დანართი №3-ის შესაბამისად.
4. დამტკიცდეს მითითების ფორმა დანართი №4-ის შესაბამისად.
5. დამტკიცდეს შემოწმების აქტის ფორმა დანართი №5-ის შესაბამისად.
6. დამტკიცდეს უწყების ფორმა დანართი №6-ის შესაბამისად.
7. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა -
ანგარიშგების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გამოყენებისა და აღრიცხვა - ანგარიშგების წესი (ტექსტში შემდგომ) შემუშავებულია „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანების საფუძველზე.
2. ამ წესის მიზანია თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურში მკაცრი აღრიცხვის ფორმის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის) გამოყენებისა და მისი აღრიცხვა - წარმოების დარეგულირება.

მუხლი 2. ოქმის შენახვა

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის დაბეჭდვა მოხდეს სტამბური წესით.
2. სტამბური წესით დაბეჭდილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ჩაბარების უფლება აქვს თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის (შემდგომ ტექსტში - თელავის მუნიციპალიტეტი) მინდობილობით აღჭურვილ პირს.
3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს მიღება - გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ინახავს დაზიანებისა და გარეშე პირთაგან სათანადოთ დაცულ სათავსში.

მუხლი 3. ოქმის შედგენის საფუძველი

1. გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფლებამოსილი მოსამსახურე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე.
2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ზედამხედველობის სამსახურის მოსამსახურეზე გაიცემა მათ მიღება - გაცემაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალში შესაბამისი აღნიშვნისა და ხელმოწერის შემდეგ.

მუხლი 4. სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოება.

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახური საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის შესაბამისად, ახდენს კონტროლს მუნიციპალიტეტში მიმდინარე სამშენებლო, სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო საქმიანობაზე, კერძოდ: თუ სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ, დაფიქსირებული იქნება მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან დემონტაჟის წარმოების ფაქტი და ადგილზე ვერ მოხერხდება მიმდინარე საქმიანობის შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდენა, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტების მიერ, მოხდება მითითების ფორმის შედგენა, რომელიც ჩაბარდება მეპატრონეს, ან თუ არ ჩაიბარებს, გაიკვრება თვალსაჩინო ადგილზე, გადაიღება ფოტო და ითვლება ჩაბარებად, რომლითაც ობიექტის მეპატრონეს მიეცემა ვადა არაუმცირეს 3 (სამი) დღისა, რათა წარმოადგინოს ობიექტის მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან დემონტაჟისათვის საჭირო მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტის პროექტი და შესაბამისი მშენებლობის სანებართვო მოწმობა ან ტერიტორია მოიყვანოს პირვანდელ მდგომარეობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიმართ (სამართალდამრღვევის მიმართ) გატარდება კანონშესაბამისი ღონისძიება საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 43–ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს დამრღვევის დაჯარიმებას 200 (ორასი) ლარის ოდენობით. მითითებით მიცემული ვადის გასვლის შემდეგ, სპეციალისტი ავსებს შემოწმების აქტს, რომელშიც უთითებს მითითება შესრულდა თუ არა. თუ დამრღვევის მიერ მითითება შესრულებულია, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ მომზადდება თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანების პროექტი საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით. თუ მითითება არ შესრულდება, შედგება უწყების ფორმა, რომლითაც სამართალდამრღვევი დაბარებული იქნება საქმის განხილვაზე თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შესაბამის ხელმძღვანელთან. ამის შემდეგ, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ მომზადდება თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბრძანების პროექტი დაჯარიმების შესახებ.

2. ჯარიმის შესახებ ბრძანების გამოცემისთანავე, მოქალაქეს ბარდება ბრძანება, თუ არ ჩაიბარებს, გაიკვრება თვალსაჩინო ადგილზე (სახლის კარებზე ან ობიექტზე) და მოქალაქე დაჯარიმდება.

3. თუ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოვა მომართვა/წერილი ან განცხადება მშენებარე ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების, მშენებლობის ვადის გაგრძელების თაობაზე, ან კორექტირებული პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით და სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის მიერ ფიქსირდება სამართალდარღვევა, კერძოდ: დარღვეული იქნება მშენებლობის ექსპლუატაციაში წარსადგენი ვადები, დარღვეული იქნება ობიექტის პირვანდელი სამშენებლო დოკუმენტის პროექტი ანუ პროექტის გადახვევით იქნება ნაწარმოები მშენებლობა, შესაბამისი სპეციალისტის მიერ, შედგება შემოწმების აქტი, რომელშიც აისახება შესაბამისი სამართალდარღვევა და საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და

თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 45–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დაიწყება ადმინისტრაციული საქმისწარმოება, რაც ითვალისწინებს დამრღვევის დაჯარიმებას 200 (ორასი) ლარის ოდენობით. ანალოგიურად მომზადდება თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების პროექტი, გამგებლის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემდეგ, ბრძანება ჩაბარდება სამართალდამრღვევს.

4. თუ დაჯარიმების შესახებ ბრძანების ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში სამართალდამრღვევის მიერ არ იქნება გადახდილი შესაბამისი ჯარიმის თანხა, სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახური ამზადებს თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანების პროექტს საურავის დაკისრების შესახებ, გამგებლის მიერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის შემდეგ, ბრძანება ჩაბარდება სამართალდამრღვევს.

5. ანალოგიური მითითებით იწყება საქმისწარმოება საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 48–ე, 49–ე, 50–ე მუხლებთან დაკავშირებით.

მუხლი 5. ოქმის სისტემატიზაცია

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის მიღება, აღრიცხვა, შენახვა და გაცემა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით დამკვიცბული წესით და ამ წესის შესაბამისად. ოქმის მიღებისა და გაცემის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალში.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემოსავლისა და გასავლის ჟურნალი უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული. ჟურნალი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს №669 ბრძანებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამოუყენებელი და გაფუჭებული ოქმები ბარდება მათ მიღება - გაცემაზე პასუხისმგებელ პირს, რის შესახებაც ჟურნალში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

4. ოქმის გაფუჭებისა ან/და დაზიანების შემთხვევაში მოსამსახურე ოქმს თან ურთავს ახსნა - განმარტებით ბარათს, რაზეც დგება სათანადო აქტი.

5. ზედამხედველობის მოსამსახურის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სხვა თანდართული მასალები აუცილებლად რეგისტრირებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მასალების აღრიცხვის ჟურნალში.

6. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მასალების აღრიცხვის ჟურნალი უნდა იყოს სათანადო წესით დანომრილი, აკინძული, ზონარგაყრილი და ბეჭედდასმული. ჟურნალი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს (დანაყოფებს):

ა) რიგითი ნომერი;

- ბ) ოქმის ნომერი;
- გ) დამრღვევის გვარი, სახელი, მისამართი;
- დ) დარღვევის მოკლე შინაარსი და თარიღი;
- ე) ოქმის შემდგენის თანამდებობა სახელი, გვარი;
- ვ) კანონის შესაბამისი მუხლი;
- ზ) საქმის განმხილველი თანამდებობის პირის სახელი, გვარი ან ქვემდებარეობით გადაგზავნის ნომერი და თარიღი;
- თ) საქმის განხილვის თარიღი;
- ი) მიღებული დადგენილების მოკლე შინაარსი და ნომერი;
- კ) ინფორმაცია დადგენილების აღსრულებასთან დაკავშირებით;
- ლ) მიღებული დადგენილების სასამართლოში ან/და სააღსრულებო ბიუროში გადაგზავნის ნომერი და თარიღი;
- მ) შენიშვნა.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

2. აღნიშნულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით სამართალდამრღვევი პირის _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

ახსნა-განმარტება:

3. სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის უფლებები და მოვალეობები.

მე, _____

(სამართალდამრღვევი პირის სახელი, გვარი)

გავეცანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს:

„ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, მისცეს ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს შუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გამოვიდეს სახელმწიფო ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ არის შემოსული შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.“

4. ყოველივე ზემოაღნიშნულზე შედგა ეს ოქმი, რომლის სისწორესაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

ოქმი შევადგინე: _____

(ოქმის შემდგენელი პირის ხელმოწერა)

ოქმს გავეცანი: _____

მოწმე (დასწრების შემთხვევაში): _____

სახელი, გვარი

მისამართი

პირადი №

დაზარალებული:

სახელი, გვარი

მისამართი

პირადი №

ოქმის ასლი ჩავიბარე:

სამართალდამრღვევის სახელი, გვარი

მისამართი

პირადი №

5. ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა არ წარმოადგენს საქმის შეწყვეტის საფუძველს. სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმისათვის დასართავი ახსნა-განმარტება და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს მის ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიროგობიანი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის აღრიცხვის ჟურნალი

№	გაცემის თარიღი	ოქმის №	ოქმის გამცემი				ოქმის მიმღები				შედგენილი ოქმები				
			თანამდებობა	სახელი	გვარი	ხელმოწერა	თანამდებობა	სახელი	გვარი	ხელ მოწერა	ოქმის №	თანამდებობა	სახელი	გვარი	ხელმოწერა
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16

დაბრუნებული (გაუქმებული ან უვარგისი) ოქმები						შენიშვნა
დაბრუნების თარიღი	ჩამოწერის აქტის №	ოქმის №	თანამდებობა	სახელი	გვარი	
17	18	19	20	21	22	23

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

მ ი თ ი თ ე ბ ა №
შედგენის თარიღი -----

1. ზედამხედველობის სამსახური დამრღვევის მიმართ საქმის წარმოებას იწყებს მითითების გაცემით (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 26-ე მუხლის მე-2-ე ნაწილი);

2. მითითება არის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნა დამრღვევის მიმართ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, ნებაყოფლობით შეასრულოს მითითებაში მითითებული პირობები, დარღვევის გამოსასწორებლად.

მითითების გამცემი (თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

დამრღვევის დასახელება და მისამართი _____
ობიექტის დასახელება და მისამართი _____
მითითების გაცემის მომენტში მშენებლობის ეტაპი

დარღვევის სახეობა, შინაარსი და გამოსწორების მიზნით მისაღები ზომები

საჯარიმო სანქცია აღნიშნულ დარღვევაზე განისაზღვრება _____ ლარით.
დარღვევის გამოსწორების ვადა _____ დღე.

მითითება ჩაიბარა (სახელი, გვარი, მიღების თარიღი, ხელმოწერა)

მითითება გაეცნო (ჩაბარდა) დამრღვევს თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.
(ზუსტად მიეთითოს თვალსაჩინო ადგილი)_____

განთავსების თარიღი

3. თუ ვერ ხერხდება მხარისათვის მითითების, შემოწმების აქტის, უწყების ან დადგენილების გაცნობა (პირდაპირი ჩაბარებით), გაცნობად (ჩაბარებად) ჩაითვალოს მათი განთავსება მითითებაში, შემოწმების აქტში, უწყებაში ან დადგენილებაში მითითებული ობიექტის თვალსაჩინო ადგილზე (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 19-ე მუხლი).

4. დანართი №3-ის 3-ე პუნქტი გავრცელდეს მთელ დადგენილებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

შემოწმების აქტი №
შედგენის თარიღი:-----

1. მითითებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, ზედამხედველობის სამსახური ამოწმებს დამრღვევს, რაზეც დგება შემოწმების აქტი. შემოწმების აქტში აისახება მშენებარე ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობა მითითების პირობებთან მიმართებაში.

შემოწმების აქტი დგება 20 წლის----- გაცემული №----- მითითებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის დასადგენად. დარღვევის დასახელება და მისამართი: -----

ობიექტის დასახელება და მისამართი: -----

შემოწმების მომენტში მშენებლობის ეტაპი: -----

შემოწმებით დადგინდა: -----

რითაც დგინდება, რომ:

- ა. მითითება შესრულდა.
- ბ. მითითება არ შესრულდა.
- გ. მითითება სრულდება არადროულად.

2. შემოწმების აქტის საფუძველზე, თუკი აქტში დაფიქსირებულია დარღვევა ზედამხედველობის სამსახური იღებს დადგენილებას:

ა. დამრღვევის დაჯარიმების შესახებ;

ბ. დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის და უნებართვო დემონტაჟის შეჩერების შესახებ;

გ. დამრღვევის დაჯარიმებისა და კანონმდებლობის დარღვევით აშენებული შენობა-ნაგებობების მთლიანად ან ნაწილობრივი დემონტაჟის, მშენებარე შენობა-ნაგებობების მშენებლობის მთლიანი ან ნაწილობრივი შეჩერების და დემონტაჟის შესახებ (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის მე-9-ე მუხლი);

3. იმ შემთხვევაში, თუკი დარღვევა გამოსწორებულია და არ არსებობს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის 9-ე ნაწილით გათვალისწინებული დადგენილების მიღების საფუძველი, იურიდიული სამსახური იღებს დადგენილებას სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 11-ე მუხლი);

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი

უ წ ყ ე ბ ა №

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 25-ე მუხლის 13-ე ნაწილის შესაბამისად, დაბარებული ხართ თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურში ტექნიკური - სამშენებლო სამართალდარღვევის აქტთან დაკავშირებით.

დამრღვევის დასახელება და
მისამართი _____

ობიექტის
დასახელება და მისამართი _____

საქმის
განხილვის თარიღი _____

საქმის განხილვის
ადგილი _____

საქმის განმხილველი
თანამდებობის პირი _____

საკრებულოს თავმჯდომარე

პაატა გიორგობიანი